

მომსახურების შესყიდვის ტექნიკური დავალება

შპს „გარდაბნის თბოსადგური“ ახორციელებს მის საკუთრებაში არსებულ, საქართველოში პირველ, 230 მეგავატი სიმძლავრის კომბინირებული ციკლის თბოელექტროსადგურის მართვას და ოპერირებას. თბოელექტროსადგურის ერთ-ერთ ძირითად აგრეგატს წარმოადგენს General Electric-ის წარმოების 2 გაზის ტურბინა და 2 გენერატორი. მწარმოებლების მიერ გაცემული რეკომენდაციების და საოპერაციო და სარემონტო სახელმძღვანელოების მიხედვით ტურბინებს, ისევე როგორც თბოელექტროსადგურში არსებულ სხვა დანადგარებს, ოპერირების პროცესში ესაჭიროება პერიოდული სარემონტო სამუშაოები. General Electric-ის წარმოების 6FA ტიპის გაზის ტურბინებს 24 000 საათის მუშაობის შემდგომ ესაჭიროება რემონტი (Hot Gas Path Inspection). აღნიშნული რემონტის უზრუნველსაყოფად შპს „გარდაბნის თბოსადგური“ გეგმავს სათადარიგო ნაწილების შესყიდვას. გარდაბნის თბოელექტროსადგური ექსპლუატაციაში შევიდა 2015 წლის 28 სექტემბერს. თბოელექტროსადგურის ექსპლუატაციაში შესვლის შემდგომ, General Electric-ის წარმოების 6FA ტიპის გაზის ტურბინებმა განიცადა ტექნოლოგიური გაუმჯობესება. კერძოდ, გაუმჯობესებულ ტურბინებს სარემონტო სამუშაოები (Hot Gas Path Inspection) ნაცვლად 24 000 ნამუშევარი საათისა, ესაჭიროება 32 000 საათის მუშაობის შემდგომ. აღნიშნული გაუმჯობესება საგრძნობლად ზრდის სარემონტო ინტერვალს და ამცირებს ოპერირების და რემონტის ხარჯებს.

შპს „გარდაბნის თბოსადგურს“ შესყიდული აქვს Hot Gas Path Inspection-ისთვის საჭირო საქონლის ნაწილი (General Electric-ის წარმოების). აღნიშნული ნაწილი წარმოადგენს ერთი გაზოტურბინის სათადარიგო ნაწილების არასრულ კომპლექტს და გააჩნია 24 000 საათიანი მუშაობის რესურსი ცხრილი N1.

ცხრილი N1

რაოდენობა /Quantity	აღწერილობა/Description
1	ASSY,FUEL NOZZLE GAS ONLY/გაზის საწვავის საქმენის ნაკრები
1	CAP ASSEMBLY, COMBUSTION/საწვავი კამერის ხუფის ნაკრები
1	6FA TRANSITION PC ASSY/6FA-ის საწვავი კამერის გადამცემის ნაკრები
1	COMBUSTION LINER ASSEMBLY/საწვავი კამერის შიდა გარსის ნაკრები
1	COMBUSTION INSPECTION CONSUMABLES//საწვავი კამერის ინსპექტირებისათვის საჭირო სახარჯი მასალები
1	GT STAGE 1 BLADES /გაზის ტურბინის პირველი რიგის ფრთები
1	GT STAGE 2 BLADES/გაზის ტურბინის მეორე რიგის ფრთები
1	GT STAGE 3 BLADES/გაზის ტურბინის მესამე რიგის ფრთები

წინამდებარე შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს შპს „გარდაბნის თბოსადგურის“ მარაგში არსებული ზემოაღნიშნული ნაწილების გაუმჯობესება. რაც გულისხმობს არსებული არასრული კომპლექტის მოდიფიკაციას Advanced Gas Path (AGP)-ზე 32 000 საათიანი მუშაობის რესურსით. აღნიშნული მომსახურების შედეგად მოდიფიცირებული ნაწილები თავსებადი უნდა იყოს გარდაბნის თბოელექტროსადგურში დამონტაჟებული General Electric-ის წარმოების 6FA ტიპის გაზის ტურბინებთან.

მომსახურება შესაძლებელია განხორციელდეს, პრეტენდენტის შეხედულებისამებრ, როგორც უშუალოდ გარდაბნის თბოსადგურში (საქართველო, ქ.გარდაბანი, დ. აღმაშენებლის 2 ბ საფოსტო ინდექსი 1300), ასევე პრეტენდენტის მიერ მითითებულ ადგილზე. შპს „გარდაბნის თბოსადგურის“ მარაგში არსებული ზემოაღნიშნული ნაწილების ტრანსპორტირების ხარჯებს უზრუნველყოფს შემსყიდველი (საჭიროების შემთხვევაში).

პრეტენდენტმა მოდიფიკაცია უნდა განახორციელოს ცხრილი N2-ში ჩამოთვლილ ნაწილებზე.  
**ცხრილი N2**

N	Description/აღწერილობა	Details/დეტალიზაცია
1	Upgrading existing parts to (32k) for GT1/არსებული მარაგის გაუმჯობესება 32 000 საათიან მუშაობის რესურსზე გაზის ტურბინა N1-ისთვის	Modify existing Caps/არსებული ხუფების მოდიფიკაცია
		Modify existing Transition Pieces/ საწვავი კამერის გადამცემის არსებული ხუფების მოდიფიკაცია
		Modify existing Stage 1 Blades /გაზის ტურბინის პირველი რიგის არსებული ფრთების მოდიფიკაცია
		Modify existing Stage 2 Blades/გაზის ტურბინის მეორე რიგის არსებული ფრთების მოდიფიკაცია

მოდიფიცირებული ნაწილები უნდა აკმაყოფილებდეს ტექნიკური პირობებით განსაზღვრულ მახასიათებლებსა და საქონელზე არსებულ სტანდარტებს.

ტენდერის პროცესში პრეტენდენტმა წინადადებასთან ერთად უნდა წარმოადგინოს მინიმუმ 2 ანალოგიური მომსახურების გაწევის დამადასურებელი დოკუმენტი. პრეტენდენტმა ასევე უნდა წარმოადგინოს მართვის ხარისხის სერთიფიკატი ISO 9001.

- მომსახურების ვადა: არაუმეტეს 6 თვე
- საგარანტიო პერიოდი: მოდიფიცირებული საქონლის გარდაბნის თბოელექტროსადგურში ინსტალაციიდან არანაკლებ 1 წელი.

განფასება წარმოადგენილი უნდა იქნეს გადასახადების გარეშე.

ბაზრის კვლევის პროცესში განფასება წარმოდგენილი უნდა იყოს აშშ დოლარში.